

სიცრუითა და უზნეობით მეტყველი სულები საქართველოს წინაარმდეგ

გასული წლის სექტემბერში, გაზეთ "ჯორჯიან თაიმსში", (№35 (298), 02-09.09.) საქართველოს მოსახლეობას ვაცნობთ ერთი მზაკვრული გეგმის შესახებ და გამოვაქვეყნებთ ორგანიზაცია CRS (CATHOLIC RELIEF SERVICIS - "კათოლიკური დახმარების სამსახური" – კდს) გასაიდუმლოებული დოკუმენტი, რომელშიც ეწერა:

""კათოლიკური დახმარების სამსახურმა" (კდს) შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საშუალო სკოლების ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბებას როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. . . კლუბები მოემსახურებიან 15-17 წლამდე მოსწავლეებს, სადაც ისინი შეიძენენ მომავალი ლიდერების თვისებებს . . . მასწავლებლები და ახალსკოლადამთავრებულები მიიღებენ სტიპენდიის სახით ანაზღაურებას თითოეული ჩატარებული საათისათვის, რომელსაც ისინი მიუძღვნიან ახალგაზრდული კლუბების საქმიანობას როგორც სასკოლო საათების შემდეგ, ასევე შაბათ-კვირას . . . 10 არასამთავრობო ორგანიზაცია 5 წლის მანძილზე განახორციელებს 5,3 მილიონის ღირებულების პროექტს. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბება და მათი მიზანმიმართული მართვა. . . "

ეს არის აგრესიული ანტიმართლმადიდებლური, პროკათოლიკურ-პროეკუმენისტური პროზელიტიზმის გეგმა. განათლების სამინისტრომ იზრუნა ამ გეგმის განხორციელებისათვის და "ზოგადი განათლების შესახებ" კანონში შესაბამისი მექანიზმებიც ჩადო. ის რომ განათლების სფეროში დაგეგმილი რეფორმა ანტიმართლმადიდებლურია, ანტიქართულია, და უბრალოდ – ანტიადამიანურია, ამაში სულ უფრო თვალნათლივ რწმუნდება საღათას ძილიდან ნელ-ნელა გამოფხიზლებისაკენ დაძრული საზოგადოება. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა ვუღალატეთ ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს შვილებს, რადგან ხელში ჩაუვადეთ უზნეო, სულგაყიდულ, ღვთისმგმობ და ქართველთმოძულე ადამიანებს.

ახლახან ჩვენ მოგვაწოდეს ერთი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის იმავე ორგანიზაცია CRS. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ კათოლიკური დახმარების სამსახური შეუდგა მის ზემოხსენებულ დოკუმენტში დასახული გეგმის განხორციელებას, კერძოდ - სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კლუბების შექმნისათვის ზრუნვას. დოკუმენტს ეწოდება "ვაშენოთ მომავალი". მასში კერძოდ ნათქვამია:

"აღნიშნული ხუთწლიანი პროგრამა (პროკათოლიკური კლუბების შექმნა – ავტ.) განხორციელდება თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მას ორგანიზებას გაუწევს "კათოლიკური დახმარების სამსახური" . . . პროგრამა იმუშავებს 203 სკოლაში დაფუძნებულ და ღონისძიებებზე ორიენტირებულ "მოზარდთა კლუბებში" . . . პროგრამის უშუალო მონაწილეები იქნებიან "მოზარდთა კლუბის წევრები". . . "

ამ დოკუმენტის მიხედვით 5,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თანამედროვე ტერმინოლოგიით შენიღბული და ფსევდოჰუმანური ღირებულებების საბურველში გახვეული ანტიმართლმადიდებლური პროზელიტიზმის პროგრამა მარშან ოქტომბერში დაიწყო. შეუძლებელია ამის შესახებ მაშინ არ ცოდნოდა განათლების მინისტრს, ბ-ნ კახა ლომაიას. მაგარამ, როგორც გახსოვთ, მან სხვადასხვა შეხვედრებზე (მაგ. მარშან, ნოემბერში უნივერსიტეტში, ტელეკამერების წინ) სასტიკად იუარა და უარყო ასეთი პროგრამის არსებობა. სამწუხაროა, რომ სიცრუით მეტყველ სულებს ჩენი ქვეყნისა და ჩენი მოზარდი თაობის ბედი აბარიათ. მაგრამ გაცილებით უფრო დიდი უბედურებაა, როდესაც ასეთივე სულიერებით ეკლესიის იერარქი იღვწის. ეს კიდევ უფრო. სწორედ ამაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

მანამდე კი შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 9 მარტს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა და საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტთან არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ კოალიციამ (ხელმძღვანელი - 9 ორგანიზაცია) ჩაატარა ერთობლივი

პრესკონფერენცია, რომელზეც გაკეთდა და გავრცელდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნული იყო:

"უკიდურეს შემთხვევაში გამოთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეკლესიასთან დადებული მემორანდუმითა და სხვადასხვა განცხადებებით საპატრიარქოსთან თანამშრომლობის ილუზიას ქმნის, სინამდვილეში კი უგულვებელყოფს სახელმწიფოსა და სამოციქულო ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმებით ეკლესიისთვის მინიჭებულ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. ეკლესიასთან თანამშრომლობის ილუზიის შექმნას ემსახურება სამინისტროს მიერ 2-3 პროექტის ტურად განწყობილი სასულიერო პირის რეფორმის მხარდამჭერებად წარმოჩენა. ეს ის საზოგადოებისათვის ცნობილი პირები არიან, რომლებიც განვლილ პერიოდში მხილებულ იქნენ ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ანტიეკლესიური და ანტიმართლმადიდებლური კამპანიის წარმართვაში. სწორედ მათი რიგებიდან იწვევს სამინისტრო მისთვის სასურველ სასულიერო პირებს - საპატრიარქოს წარდგინების გარეშე და მისი გვერდის ავლით - და შეჰყავს სხვადასხვა ჯგუფებში".

დღეს შექმნილი უკიდურესად შემთხვევითი და მრავალმხრივ საშიში მდგომარეობიდან გამომდინარე ჩვენ იძულებულები ვართ ვამხილოთ ანტიმართლმადიდებლური და ანტიეროვნული რეფორმის ლობისტი ეკლესიაში, ფოთელი ეპისკოპოსი გრიგოლი. ცინიზმია, როდესაც ანტიქართულ "რეფორმას" იღია ჭკვავადის სახელი უწოდეს და ამ რეფორმის მებაიარაღედ ეკლესიაში ეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) მოგვევლინა, რომელმაც, ფაქტობრივად, თავის ხელში მოაქცია განათლების სფეროსა და საკითხების კურირება საპატრიარქოში - იგია ამ სფეროს ოფიციალური და არაოფიციალური კურატორიცა და განათლების სამინისტროს ლობისტიც ეკლესიაში. შედეგად, როგორც ჩანს, სრულიად იგნორირებულ იქნა საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი (რომელმაც, თავის დროზე უარყოფითი შეფასება მისცა განათლების კანონპროექტს), ასევე იზოლაციაში მოაქცია ამ კომიტეტის თავმჯდომარე, პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), რომელიც აქტიურად იბრძოდა ხსენებული კანონპროექტის წინააღმდეგ პარლამენტში საკომიტეტო განხილვების დროს - ერთ-ერთი სხდომა მან პროტესტის ნიშნად დატოვა კიდეც.

ბუნებრივად ისმის კითხვა - განა შეიძლება დუმდეს ტრადიციულ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ეკლესიის იერარქი და საპატრიარქოში განათლების სფეროს კურატორი, როდესაც იგეგმება და ხორციელდება ანტიმართლმადიდებლური პროგრამა - ჯერ კანონით სახელმწიფო სკოლებიდან სრულიად იძირკვება მართლმადიდებლობის ყოველგვარი გამოვლინება, სწავლებიდან დაწყებული და სიმბოლიკით - მაგ. ჯვარი, ხატი - დამთავრებული, შემდგომ იწყება პროგრამა, რომლის თანახმადაც სკოლებში მასობრივად უნდა გაიხსნას პროკათოლიკური კლუბები? ნამდვილად არ შეიძლება.

მაგრამ გასაკვირი არაფერია, თუ გავიხსენებთ, რომ მეუფე გრიგოლი პროექტის ცნობიერების მატარებელია, მისი ქმედებები ხაზგასმით საწინააღმდეგოა იმ კურსისა, რომელსაც ჩვენი ეკლესია, მისი საჭეთმპყრობელი და წმ. სინოდი ატარებს. მეუფე გრიგოლის პუბლიკაციებში ("ართქმა უფრო დანაშაულია", გაზ. "24 საათი") და განცხადებებში იგნორირებულია საქართველოს ეკლესიის პოზიცია. იგი ცდილობს, რომ მოამზადოს საფუძველი ეკლესიაში ანტიმართლმადიდებლური რეფორმების გატარებისათვის, საქართველოს ეკლესიის ეკუმენისტურ რელსებზე გადაყვანისათვის, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის გაკონტროლებისათვის. მეუფე გრიგოლი არის ერთ-ერთი წევრი ე.წ. "სამთა სინოდისა", რომელიც ეკლესიასთან, მის საჭეთმპყრობელთან და წმ. სინოდთან შეუთანხმებლად აკეთებს ეკლესიისა და მართლმადიდებლობისათვის შეუფერებელ, ანტიეკლესიურ და ანტიეროვნულ განცხადებებს (გაზ. "24 საათი", 24,8). იგი არის ერთერთი ხელმძღვანელი ღია მიმართვისა, რომელიც გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა და რომლის მიზანია პატრიარქის მმართველობის შეზღუდვა და საბოლოოდ მართვის

სათავეებიდან ჩამოცილება, საქართველოს ეკლესიაში ტრადიციად დამკვიდრებული საპატრიარქო მმართველობის შეცვლა სინოდიალური მმართველობით.

მეუფე გრიგოლის მიერ ეკლესიაში და საპატრიარქოში გარკვეული სფეროების გაკონტროლება, როგორცაა განთლების სფერო, საეკლესიო ცენზურა (!) და სხვა, უნდა მივიჩნიოთ გარკვეული სამსახურების ჩარევად ეკლესიის შიდა საქმეებში და ეკლესიის გაკონტროლების მცდელობად. თავის დროზე ჩვენ შეგნებულად შევიკავეთ თავი მეუფე გრიგოლის კანონსაწინააღმდეგო და უზნეო-ამორალურ ქმედებების გამომწვეურებისაგან, ვინაიდან, მართლმადიდებლური მიდგომით, ისინი პირადი ცოდვების სფეროს მივაკუთვნეთ. მაგრამ, როგორცა ჩანს, სწორედ ეს კომპრომატები აძლევს საშუალებას გარკვეულ ძალებსა და სამსახურებს, მართონ და აკონტროლონ მეუფე გრიგოლი.

უპირველეს ყოვლისა მივმართავთ წმ. სინოდსა და ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს – არ დაუშვას საქართველოს განათლების სფეროში ანტიმართლმადიდებლური პროზელიტიზმის განხორციელების მცდელობები და პროგრამები – ამის სრულ საშუალებას იძლევა საკონსტიტუციო შეთანხმება – კონკორდატი, ასევე ამხილოს ასეთი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ყველა თანამზრახველი და ხელშემწყობი, რომელთა შორის, უდავოა, უპირველესად მეუფე გრიგოლი წარმოგვიდგება.

მომავალში ჩვენ გამოვაქვეყნებთ მასალებს იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება საქართველოში მოზარდი თაობის გამრყენელი, უკუეფექტზე გათვლილი პროგრამები, როგორ მიდის (არც თუ შეფარულად) სიძვის, მრუშობის, ჰომოსექსუალიზმის, ლესბოსობის და სხვა სექსუალური ანომალიების პროპაგანდა.

მოგუწოდებთ საზოგადოებას, არ შეეგუოს, არ წაუყრუოს ჩენი შვილებისა და მთელი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სულიერ აგრესიას, რომელსაც ახორციელებენ სიცრუითა და უზნეობით მეტყველი სულელები. გვახსოვდეს, რომ ღმერთი სასტიკად მოგვთხოვს ამ ღალატის გამო და დასჯის მთელ ერს.

**წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირი
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი.**